


“დამტკიცებულია”

სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა  
და სპორტის კოლეჯის დირექტორის  
2019 წლის 18.03 N 03-09 ბრძანებით



სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის  
სახელმწიფო კოლეჯის

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა

თბილისი 2019

## **ზოგადი დებულებები:**

1. წინამდებარე წესით განისაზღვრება სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის (შემდგომში - „კოლეჯის“) ადამიანური რესურსების მართვის მიზნები, ამოცანები და მასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.
2. ადამიანური რესურსების ეფექტური მართვის მიზანია კოლეჯის შესაძლებლობების გაზრდა თანამედროვე უნარების მქონე, ჩართული, მოტივირებული და საქმისადმი ერთგული თანამშრომლებით უზრუნველყოფის გზით.

### **მუხლი 1. ადამიანური რესურსი, მისი მართვა**

1. ადამიანური რესურსი წარმოადგენს კოლეჯში დასაქმებულ პირთა ერთობლიობას, ადამიანებს, რომლებიც ინდივიდუალურად ან/და ჯგუფურად მუშაობენ კოლეჯის წინაშე მდგარი მიზნებისა და ამოცანების მიღწევისათვის.
2. თითოეულ დასაქმებულში გაერთიანებულია მისი ცოდნა, უნარები, გამოცდილება, შესაძლებლობები, პიროვნული თვისებები, ინტერესები, მიზნები, მისწრაფებები და ა.შ. ადამიანური რესურსების მართვა თავის მხრივ გულისხმობს თითოეულ დასაქმებულში არსებული რესურსის წარმართვას და მის გამოყენებას კოლეჯის მიზნებისათვის.
3. ადამიანური რესურსების სწორი მართვა უზრუნველყოფს იმგვარი გარემოს შექმნას, სადაც თითოეულ თანამშრომელს ეძლევა საკუთარი პოტენციალისა და მისწრაფებების რეალიზების შესაძლებლობა კოლეჯის წინაშე დასახული მიზნებისა და ამოცანების მიღწევის პროცესში.

### **მუხლი 2. ადამიანური რესურსების მართვის მიზნები და ამოცანები**

2. 1. ადამიანური რესურსების მართვის მიზანია :
  - ა) კოლეჯის უზრუნველყოფა შესაბამისი კომპეტენტური და მოტივირებული პერსონალით;
  - ბ) დასაქმებულ პირთა გუნდური, ერთობლივი და წარმატებული მუშაობის ხელშეწყობა;
  - გ) დასაქმების გამჭირვალე პროცედურები, სამართლიანი და ეფექტური დასაქმების პოლიტიკა;
  - დ) თანამშრომელთა პროფესიული განვითარების და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა;

ე) თანამშრომელთა საქმიანობის მონიტორინგი, მათ მიერ შესრულებული სამუშაოს სამართლიანი შეფასება და წახალისების ფორმების გამოყენება.

2.2. ადამიანური რესურსების მართვის ამოცანაა :

ა) სამუშაო ადგილების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალით დაკომპლექტება;

ბ) თანამშრომელთა პროფესიულ ზრდასა და კვალიფიკაციის მუდმივ ამაღლებაზე ზრუნვა;

გ) თანამშრომლებთან ურთიერთობისას შრომის კანონმდებლობის დაცვა;

დ) შრომის შინაგანაწესის შესრულებისა და შრომის დისციპლინის დაცვის კონტროლი.

ე) თითოეული საშტატო (შტატგარეშე) თანამდებობისათვის განსაზღვრული სამუშაო აღწერილობების შეძლებისდაგვარად დეტალური გაწერა;

2.3. ადამიანური რესურსების მართვას ახორციელებს სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის ადამიანური რესურსებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი

### **მუხლი 3. ორგანიზაციული სტრუქტურა**

3.1. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის მართვის ორგანოებს წარმოადგენს კოლეჯის დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭო

3.2. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის საშტატო განრიგი ითვალისწინებს --- საშტატო ერთეულს. მათ შორის --- პედაგოგის საშტატო ერთეულს

3.3. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის საჭიროებიდან გამომდინარე შესაძლებელია შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დამატებით აყვანილ იქნას შტატგარეშე თანამშრომელიც.

### **მუხლი 4. კოლეჯის ადამიანური რესურსის შერჩევა**

4.1. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის სამეთვალყურეო საბჭოს ფორმირებისა და არჩევის წესს ადგენს მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული წესდება.

4.2. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი.

4.3. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის დირექტორი თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს პროფესიული განათლების მასწავლებელს და კოლეჯის სხვა თანამშრომლებს. დასაქმების მსურველთა შერჩევა ხდება გასაუბრებით

4.4. დასაქმების მსურველი პირის სამუშაოზე მიღებასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი

4.5. დასაქმების მსურველი პირის სამსახურში აყვანა ფორმდება შრომითი ხელშეკრულებით ან/და კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

4.6. პროფესიული განათლების პედაგოგთა შერჩევისას დგინდება მისი კვალიფიკაციის შესაბამისობა „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის და შესაბამისი პროფესიული სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან.

4.7. კოლეჯის ადამიანური რესურსების შერჩევის მიზანია მოხდეს თანამედროვე უნარების მქონე, ჩართული, მოტივირებული და საქმისადმი ერთგული თანამშრომლებით დაკომპლექტება.

#### **მუხლი 5. შრომითი ხელშეკრულების გაფორმება**

5.1. ამ წესით გათვალისწინებული გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემოწმების საფუძველზე, ვაკანსიაზე შერჩეულ პირთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულება, გამოსაცდელი ვადით ან მის გარეშე, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5.2. კოლეჯში მიღებულ დასაქმებულზე იხსნება პირადი საქმე, რომელშიც ინახება პროფესიული განათლების მასწავლებლის, ადმინისტრაციისა და ტექნიკური/დამხმარე პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების, შერჩევისა და სამსახურში მიღების ერთიანი წესით განსაზღვრული დოკუმენტები.